„კიდობანამ“ პირველი ტურისტული ჯგუფი მიიღო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტში მდებარე საოჯახო სასტუმრო „კიდობანამ“ პირველ ტურისტულ ჯგუფს უმასპინძლა



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფელ ზოტში, „შალომ კლუბ გურიას“ დახმარებით, ახალგახსნილი საოჯახო სასტუმრო „კიდობანას“ პირველი ვიზიტორი ოზურგეთის ტურისტული ჯგუფი აღმოჩნდა. ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ექიმი **გია თავბერიძე**, გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი,** ვიდეოოპერატორი **შოთა ცხომელიძე,** ჟურნალისტი **თემურ მარშანიშვილი** და ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე **მალხაზ თავბერიძე,** ჭელიძეების ოჯახის თავკაცი და „კიდობანას“ მეპატრონე **თამაზ ჭელიძე** სოფლის დასაწყისში შეეგება და ზოტის მშვენიერების ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი დამბის ჩანჩქერი და მისი მიდამოები დაათვალიერებინა. ასეთი და უფრო მოზრდილი ჩანჩქერები ამ სოფლის მთებში უამრავი ყოფილა.

როგორც თამაზ ჭელიძემ გვითხრა, სხვაგან ვერსად ნახავთ ერთმანეთთან ასე, განსაკუთრებული სიყვარულით შერწყმულ გურულ და აჭარულ ტრადიციებს, ამ ორი ეთნოსის ადათ-წესებს.

სოფელ ზოტში, რომელსაც თავისი უნიკალური ადგილმდებარეობის გამო, „ოქროს ზოდადაც“ მოიხსენიებენ, დღეს 167 მოქმედი კომლია. თამაზ ჭელიძის თქმით, კომლებისა და მოსახლეობის რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, მაგრამ მძიმე 90-იანმა წლებმა აქაც იქონია უარყოფითი გავლენა როგორც კომლების, ისე მოსახლეობის შემცირებაზე და სადღეისოდ 60-მდე კომლი საერთოდ გაუქმებულია. ამ მშვენიერი აჭარული დასახლების პირველ მცხოვრებლებად ძმები ანთაძეები ითვლებიან, რომელთათვის გურიელს უსასყიდლოდ უბოძებია დასასახლებელი ტერიტორიები და საძოვრები. თუმცა, ზოტის, როგორც დასახლებული პუნქტის ისტორია, მე-7-8 საუკუნეებში უნდა ვეძიოთ, რადგან, როგორც თამაზ ჭელიძემ გვითხრა, სოფლის დასაწყისშივე, საყდრის გორზე არსებული გალავანისა და საყდრის ნარჩენები, სავარაუდოდ, ამ პერიოდისა უნდა იყოს. საყდრის გორაზე გადამდგარი ადამიანი მხილველია მზით გაბრწყინებული ზოტის იშვიათი პანორამისა.

„კიდობანაში“ დაბინავების შემდეგ, აქ არსებული საინფორმაციო ცენტრის რჩევით, თამაზ ჭელიძის წინამძღოლობით, სანისლიას აბანოებისკენ გავსწიეთ.

იმის გამო, რომ სოფელში არ იმყოფებოდა პროფესიონალი მეთევზე ბადის მოქნევის შეუდარებელი სპეციალისტი „გოლიათა“ (ტანმორჩილი კაცი ყოფილა და სოფელმა ზედმეტსახელად „გოლიათა“ მოარგო) ვერ შედგა გუბაზეულის ჩქერებში თევზაობა. საგზაო თვალ-საზრისით საკმაოდ რთულ მარშრუტს გია თავბერიძის „ჯიპმა“ კარგად გაართვა თავი და საღამოს პირზე გემო გავუსინჯეთ აქაურ წყალს, რომელსაც,

გვ-4

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 23 (10357) 31 აგვისტო 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

შემოქმედელები გომისმთაზე საგარაკო მიწის ნაკვეთის გადაცემას ითხოვენ

ტრის საგენტო უფასო აზომვებს ატარებს და ნაკვეთების გადანაწილება ყველაზე ყბადაღებულ თემად იქცა, გაითვალისწინონ ეს და თითოეული შემოქმედელის ოჯახს საგარაკოდ უფასოდ გადასცენ 50 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი. ჩვენი აზრით, ეს სავსებით ლოგიკური თხოვნაა, რაზეც უარი არ უნდა გვითხრან“, – თქვა ჩვენთან საუბარში ბატონმა სულიკო დუმბაძემ.

სოფელ შემოქმედის მკვიდრნი კურორტ გომისმთაზე, რომელიც ადრე ამ სოფლის თემში შედიოდა, საგარაკო მიწის ნაკვეთების უფასოდ გადაცემას ითხოვენ, თითოეულ ოჯახზე 50 კვა-დრატული მეტრის ოდენობით. შემოქმედელთა ეს მოთხოვნა გაზეთ „ალიონთან“ ბატონმა **სულიკო დუმბაძემ** გაახმოვანა, რომელიც 1972-1975 წლებში ამ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ.

–„ჩვენი სოფელი გომისმთაზე 840 ჰექტარ საძოვარს ფლობდა. მაშინაც კი, როცა მაშინდელი მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ეს საძოვრები დროებითი სარგებლობის უფლებით აჭარას გადაეცა, მიწის გადასახადს ჩვენ ვიხდიდით. ჩვენი თხოვნაა, ახლა, როცა გომისმაზე სამოქალაქო რეესტრის საგენტო უფასო აზომვებს ატარებს და ნაკვეთების გადანაწილება ყველაზე ყბადაღებულ თემად იქცა, გაითვალისწინონ ეს და თითოეული შემოქმედელის ოჯახს საგარაკოდ უფასოდ გადასცენ 50 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი. ჩვენი აზრით, ეს სავსებით ლოგიკური თხოვნაა, რაზეც უარი არ უნდა გვითხრან“, – თქვა ჩვენთან საუბარში ბატონმა სულიკო დუმბაძემ.

სოფელში ოზურგეთის მერის წარმომადგენლის მოადგილის, ბატონი გიორგი ცეცხლაძის თქმით, ეს ჯამურად დაახლოებით 5 ჰექტარია და კარგი იქნება თუ ამ ფართობს შემოქმედს „ხასან აღას“ ტერიტორიაზე გამოუყოფენ.

„აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონ სულიკოს, რომელმაც ამ საკითხზე შემოქმედელთა პოზიცია გაგაცნოთ. საუბარია ჯამურად დაახლოებით 5 ჰექტარზე, რომელიც წესით „ხასან აღას“ ტერიტორიაზე უნდა გამოგვიყონ, რადგან ჩვენი საძოვრები სწორედ ამ უბანში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მდებარეობდა“, – გვითხრა გიორგი ცეცხლაძემ.

შემოქმედელები აპირებენ ამ საკითხზე წერილობით მიმართონ საქართველოს იუსტიციის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს.

დაბა ნასაკირალში 600 ბავშვზე გათვლილი საჯარო სკოლის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია

ალიონი. – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალში აქტიურ ფაზაშია 600 ბავშვზე გათვლილი საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

სკოლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შენდება. მოეწყობა საკლასო ოთახები, საპირფარეშოები და სპორტული მოედანი. ასევე, დამონტაჟდება გათბობის, წყალსადენის და კანალიზაციის სისტემები. სკოლა სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის

სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი შენგელია და გურიის სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია გაეცნენ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, აშენებს 66 სკოლას და რეაბილიტაციისა და ენერგო-ეფექტური კომპონენტის გაძლიერების სამუშაოებს ახორციელებს 100 სკოლაში

საგანმანათლებლო პროგრამას საქართველოს მთავრობა და დონორები (**CEB** და **NEFCO**) აფინანსებენ. პროგრამის საერთო ღირებულება 300 მილიონ ლარზე *მეტია.*

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჰშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„ლელომ“ ოზურგეთში გურიის ქალთა საბჭო წარადგინა

ალიონი. 26 ოქტომბერს, ქ. ოზურგეთში, პოლიტიკური გაერთიანება „ლელომ“ გურიის ქალთა საბჭოს წევრები წარადგინა.

– ქალთა მიმართულებას განსაკუთრებით მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი მოძრაობა. „ლელოს“ მიერ წარდგენილ მაჟორიტარი კანდიდატებიდან 6 ქალია,– აღნიშნა თავის გამოსვლაში პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“ ქალთა საბჭოს ხელმძღვანელმა **მედეა მეტრეველმა.**

„ლელოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა **გიორგი სიორიძემ** ქალთა უფლებების შესახებ ისაუბრა და საინტერესო მაგალითი მოიყვანა– 1905 წელს „გურიის რესპუბლიკამ“ ქალებს საარჩევნო უფლებები მისცა...

შემდეგ მედეა მეტრეველმა და გიორგი სიორიძემ ქალთა საბჭოს წევრები წარმოადგინეს გურიაში: **ეკა სალარიძე, ინგა ფრანგულაშვილი, თეონა შათირიშვილი, იზა კეჭაყმაძე, ნათია თვალაბეიშვილი, მთვარისა კეთი-ლაძე,ნინო სურგულაძე, მარიკა ტორ-ოტაძე, ნონა გოგოლაური, ქრისტინა ღლონტი, ნინო კეჭაყმაძე.**

სოფელ მაკვანეთში, რკინა-ბეტონის გზა იგება

სოფელ მაკვანეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებით 170 მ სიგრძის რკინა-ბეტონის გზა მოეწყო.

სამუშაოები ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით განხორციელდა.

ზოტის საფირმო ნაწარმი „ულეველას“ მარკით მალე ქართულ ბაზარს ესტუმრება

ალიონი. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტში აქაურებს 3000 სულზე მეტი პირუტყვი ჰყავთ. აქვთ შესანიშნავი საძოვრები და სათიბები კიდობანას და სანისლიას მთებზე, ზოტიმერიაში. სწორედ ამ ფაქტორმა გადააწყვეტინა ზოტის საჯარო სკოლის პედაგოგს ნევრიზ მიქელაძეს შეექმნა კოოპერატივი „ულეველა,“ რომელშიც 20-ზე მეტი ოჯახია გაერთიანებული. იგი შეიქმნა საქართველოს მთავრობის ერთიანი აგროპროექტის „მაღალმთიან რეგიონებში მესაქონლეობის განვითარების კონცეფციის“ ფარგლებში.

გასულ პარასკევს გაზეთი „ალიონი“ სოფელ ზოტში კოოპერატივ „ულეველას“ ესტუმრა და მის დამფუძნებელს, **ნევრიზ მიქელაძეს** ვესაუბრეთ.

–კოოპერატივი 9 წლის წინ შევქენით. 3 წელზე მეტია, რძის ქარხნის ასაგებად მთავრობის დაფინანსების მისაღებად ვიბრძვით. „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში 130-ათასიანი დაფინანსება მივიღეთ. ჩვენი მიზანია, რეგიონისთვის ვაწარმოოთ რძის ბიოლოგიურად სუფთა პროდუქცია. ამის გარანტია ის არის, რომ ზოტში აზოტიან სასუქებს არ იყენებენ. პირუტყვი ძირითადად სამყურას, მარბუთისა და დვარულას სახეობის ბალ-ახით იკვებება და ხარისხიან რძესაც იწველება.ქარხნის ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ აპირებენ რამდენიმე დასახელების ყველი, კარაქი, რძის სხვა პროდუქტები აწარმოონ.. ვფიქრობ, კოოპერატივს მოგებაზე გადასვლის დრო დაუდგა –გვითხრა მან.

თავდაპირველად რამდენიმე მოტობლოკი მიიღეს საჩუქრად, შემდეგ, როცა ოჯარით აიღეს სანისლიას მთის აღმოსავლეთით ასეულობით ჰექტარი სათიბი, „ბასაკის“ მარკის მძლავრი ტრაქტორი მიიღეს სათიბი აღჭურვილობით.

–შეიძლება ვინმე სკეპტიკურად იყო განწყობილი ჩვენი საქმიანობის მიმართ, მაგრამ წლების მანძილზე ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მიზანმიმართულ შრომას და ბრძოლას ყოველთვის მოაქვს შედეგი.რძის საწარმოს მშენებლობა აქტიურ ფაზაშია, მშენებლობის დასრულების შემდეგ თანამედროვე მანაქანა-დანადგარებით აღიჭურვება და მალე ქართულ ბაზარს „ულეველას“ მარკით ვესტუმრებით, – გვითხრა ნევრიზ მიქელაძემ.

დამწყებ მეფუტკრეთა საყურადღებოდ

საშემოდგომო სამუშაოები საფუტკრეში

მთავარი ღალიანობის დამთავრებისთანავე იწყება ფუტკრის ოჯახების შემოწმება და საზამთროდ მომზადება. შემოწმების მიზანს წარმოადგენს, გამოავლინოს როგორც სუსტი, ძლიერი და საშუალო, ასევე უდედო, ცრუდედიანი ოჯახები. უდედო ოჯახებს აძლევენ სათადარიგო დედას, ცრუდედიან ოჯახებს ჯერ გამოასწორებენ ცნობილი მეთოდებით, შემდეგ კი აძლევენ დედებს. საკვები მარაგის უკმარისობის შემთხვევაში, ატარებენ ხელოვნურ კვებას შაქრის სიროფით,შემოდგომით ორი წილი შაქრის ფხვნილი ერთი წილი წყლის შეფარდებით. კვებასთან ერთად, პარალელურად ატარებენ ფუტკრის ბარტყის დაავადებებზე სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს: ვარვატოზის საწინააღმდეგოდ იყენებენ პრეპარატებს – ვარაკომი, ფუმისანი, ბისანარი, ეკოპოლი და სხვ. მონაცვლეობით, 7 დღის ინტერვალით 2-3-ჯერ. ნოემბრის ბოლოს, უბარტყო პერიოდში საკმარისია ერთჯერადად.

ფუტკრის ბარტყის სიდამპლეების სამკურნალო-პროფილაქტიკისთვის გამოიყენება შემდეგი პრეპარატები: ოქსიბაქტოციდი, ოქსივიტი, აპიმაქსი და სხვ. ნოზემატოზის სამკურნალო-პროფილაქტიკისათვის – ნოზემატი, ნოზემაციდი.

თუ გვინდა, რომ ჩვენი პროდუქცია იყოს ჯანსაღი და მეტად მოთხოვნადი ევროპის ბაზარზე, ძველი პრეპარატები უნდა ჩავანაცვლოთ სურსათის ეროვნული სააგენტოს და ევროსტანდარტების მიერ აღიარებული ფუტკრის ახალი სამკურნალო პრეპარატებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი ყურადღება ეთმობა ზამთრის მარაგის რაოდენობას და მის ხარისხს. თუ მეფუტკრეს ეჭვი ეპარება სკაში დიდი რაოდენობით სუროს, ან მანანა თაფლის არსებობაზე, ასეთ შემთხვევაში მას ცვლიან ხარისხიანი თაფლით, ან აძლევენ შაქრის სიროფს. ასევე, შესაძლებელია, მანანა თაფლი გამოვწუროთ. ვიღებთ უბარტყო ჩარჩოებს, მათზე გადაბეჭდილ თაფლს არ ვეხებით და სეფერატორის საშუალებით, ბრუნვით ვაცლით თავღია თაფლს. შემოდგომით, სანამ გარემოს ტემპერატურა გვაძლევს ამის საშუალებას, გამოწურულ ჩარჩოს ვაბრუნებთ ისევ სკაში და ვავსებთ ახალი მარაგით ისე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ.

ბუდის შედგენის დროს სკიდან ვიღებთ ძველ, შავ, სამამლიან და ნახევრად აშენებულ ფიჭებს. ბუდის განაპირას, კიდეებში ვათავსებთ უფრო მეტ თაფლ-ჭეოიან ფიჭებს, შუაგულში – დაახლოებით ნახერადსავსე თაფლიან ფიჭებს ისე, რომ ძლიერ ოჯახებს

ჰქონდეს 15-17 კგ თაფლი. საზამთროდ ბუდის ფიჭები სასურველია იყოს შედარებით მუქი, რომელიც უფრო თბილია. ვუდგამთ ტიხარს და მის გვერდზე დასათბუნებელ ბალიშს, მეორე ბალიშს ათავსებენ ზემოდან. საფრენს ოჯახის სიძლიერი მიხედვით უმცირებენ. აუცილებლად უნდა გატარდეს სკის თაგვისგენ დასაცავ რეკომენდებული ღონისძიებები თაგასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საფუტკრე ადგილის სწორად შერჩევას. უნდა იყოს მშრალი ადგილი, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, მზიანი, განათებული, მაგრამ არა ისე, რომ ზაფხულის პერიოდში აღმოჩნდეს პაპანაქება სიცხეში. სასურველია საფუტკრეში ფოთოლმცვენი საჩრდილობელი ხე-მცენარის არსებობა. არ უნდა იყოს მეწყერის, ზვავისა და წყალდიდობის საფრთხის ზონაში, მდინარესთან, რკინიგზასთან, საქონლის სადგომთან, ავტომაგისტრალებთან ახლოს. იყოს მშვიდი, წყნარი და ეკოლოგიურად სუფთა გარემო.

გისურვებთ წარმატებებს!

ჯანვერდი ცეცხლაძე,
გურიის მეფუტკრეთა კავშირის თავმჯდომარე.

ქ. ოზურგეთში, ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედანი გაკეთდება

ალიონი. – ქ. ოზურგეთში, იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედნის მშენებლობას ჩაეყარა დაფუძველი.

როგორც ზაზა ფაჩულიას მეგობარმა და კომპანია „გალფის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **ვანო ნაკაიძემ** განაცხადა, ეს რიგით მეოთხე ასეთი ტიპის მოედანი იქნება თბილისის, გორის და სენაკის შემდეგ.

–ჩვენი მიზანია, ახალგაზრდობს სპორტით იყოს დაკავებული. ჩვენ უზრუნველვყოთ ქუჩის საკალათბ-ურთო ჩემპიონატების ჩატარებას. ყველა ის ნორჩი კალათბურთელი, რომელიც ამ პროფესიას გაჰყვება და ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო აკადემიაში ჩაირიცხება, ჩვენგან დაფინანსდება.

ზაზა ფაჩულია ატლანტაშიც თამაშობდა, საიდანაცაა ჩვენი სტუმარი, გალფის გენერალური დირექტორი ქრეიგ ქრამერი. ზაზა დღეს ვერ ესწრება ამ პრეზენტაციას, მაგრამ 2021 წლის სექტემბრისათვის, როცა ეს მოედანი გაიხსნება, იგი პირადად მიიღებს მის გახსნაში მონაწილეობას, – განაცხადა ვანო ნაკაიძემ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ** თქვა, რომ ყოფილი რაიკავშირის ტერიტორიაზე გაშენდება სკვერი, სადაც ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნებიც იქნება. მისი თქმით, ქ. ოზურგეთის ერთ-ერთი კარგი სპორტული ობიექტი შეემატება.

შემდეგ „გალფის“ მარკეტინგის დირექტორმა **ნინო ჯიბლაძემ** და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

სამადლობელი სიტყვები წარმოთქვეს, ოზურგეთის სპორტის გაერთიანების ცენტრის მწვრთნელმა **აზა მჟავანაძემ** და ახალგაზრდა კალათბურთელმა **ლეო თოიძემ.**

„გალფმა“ გიორგი ტყემალაძეს „TOYOTA RAV - 4“ გადასცა



ალიონი. ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე „გალფის“ ბენზინგასამართ სადგურთან „გალფის“ გათამაშების გამარჯვებულის დაჯილდოება გაიმართა.

„გალფის“ გენერალურმა დირექტორმა ქრეის ქრამერმა „გალფის“ აგვისტოს თვის წამახალისებელი გათამაშების გამარჯვებული დაასახელა – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ შრომის მცხოვრები **გიორგი ტყემალაძე.**

*–სამხედრო ვარ, წოდებით მაიორი. მყავს მშობლები და ცოლ-შვილი. ძალიან დიდი საჩუქარია ჩემთვის – თქვა გაზეთ „ალიონთან“*გიორგი ტყემალაძემ.

სექტემბერ-ოქტომბერში „გალფის“ კიდევ 2 გათამაშება გაიმართება.

სულთათანა

ვენერა არობელიძე-მიქატაძის ხსოვნას

იგი მინდვრის ყვავილს ჰგავდა, გულმიმტაცს, თავისუფლების სილაღით აღმოცენებულს. უფრორე ვარდს ჰგავდა, სურნელოვანსა და უტურფესს...მაგრამ დახეთ...„ვარდი მოკვდა და გაქვავდა, ვარდი ცეცხლად ამოსული.“ სიკვდლმა შეაჩერა „დიდი სიცოცხლით პირამდე სავსე პატარა გული და ჩვენს შორის უკვე ორმოცი დღეა აღარ არის ჩვენი ვენერა, ნათლობით ელენე...ვაჟკაცივით ვაჟკაცი. გულგაუტეხელი მებრძოლი, დარდთან დაუმორჩილებელი, იმედ-თან გაშინაურებული, ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ღირსეული ქალბატონი.

მას თავდავიწყებით უყვარდა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა. მის მიერ სკოლაში ჩატარებული გაკვეთილები თუ ლიტერატურული ღონისძიებები იყო ინტელექტუალური, უშუალო, უთბესი, დაუვიწყარი. ბუნებით პოეტს შეეძლო სიტყვის დამორჩილება, ამიტომაც მოუთმენლად ველოდით როგორც დაბადების დღეებს, ისე რამე მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში, რომ ელენეს ეს დღე ჩვენთვის დაემახსოვრებინა თავისი გულჩამწვდომი ლექსებით.

ახლა რა?..წავიდა ჩვენგან უსანდოესი მეგობარი, ბრწყინვალე ქალბატონი, დედა, მეუღლე, ბებია, და, შვილი, მასწავლებელი, მოქალაქე. ქება არ უყვარდა, სიცოცხლეში ეს სიტყვები რომ გაეგონა, ოთარაანთ ქვრივივით გაგვკენწლავდა. მასაც თავის საყვარელ გმირის დარად მიაჩნდა: „რომ თუ წუთისოფელს ერთ ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“..- ამიტომაც მუდამ ფუსფუსებდა, ყველაზე ზრუნავდა. ის ძალიან დიდი და კარგი ადამიანი ბრძანდებოდა.

ჩვენო ელენე, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს კვლავ შენთან ვართ შენი მეგობრები და შევთხოვთ უფალს, ფხვიერი და ტკბილი ყოფილიყოს შენთვის მამულის მიწა. არასოდეს დაგივიწყებთ:

„შენი ლოცვები სერობაა ანგელოსთათვის,

შენი ცრემლები ოცნებების ათავთავება.“

უახლოესი მეგობრები

უკვდავებაში გადასული ლამაზი სიცოცხლე (ლუბა კილურაძის ხსოვნას)

ვინ არ იცნობდა ჩვენს რაიონში ქალბატონ **ლუბა კილურაძეს.** ამ ენერგიული მასწავლებლის სახელს მოწიწებით და სიყვარულით წარმოთქვამდნენ. ამის მიზეზი მისი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა იყო. რამდენი სითბო, ზრუნვა, დედობრივი ალერსი გადასცა აღსაზრდელებს.

57 წელზე მეტი სათნო სახით და ღიმილით აღებდა ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის კარებს და შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა იქ, სადაც მისი მოწოდება, სადაც დიდი სიცოცხლე, სითბო და სიყვარული – ბავშვი იყო..

ძვირფასო ლუბა მასწავლებელო! როგორ გიხაროდათ, როცა თქვენს დიდ ამაგს კაცურკაცობით, ქართველი ქალობით იხდიდნენ თქვენი აღზრდილები.

თქვენი შრომის ყველაზე დიდი დაფასება იყო აღზრდილების სიყვარული, პატივისცემა, საზოგადოების მადლობის გრძნობით გამთბარი ბარათები, მთავრობის ჯილდოები – უმაღ-ლესი კატეგორიის მასწავლებელი.

ცრემლითა და გულისტკივილით გეთხოვებით ძვირფასო ლუბა მასწავლებელო, ყველანი, ვისაც საოცარი ქალობით, დიდებული ადამიანობით არაერთხელ გაუთბეთ გული.

უახლოესი მეგობრები

ალიკა ჯინჭარაძის ხსოვნას

ჩემო მონატრებულო ბიჭო! ისევ უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს! გილოცავთ მარადიულ სასუფეველში!..

მძიმე ბავშვობა გქონდა: სამი წლის ასაკში დაობლდი!.. დედის სითბო და ალერსი რამდენიმე წლის შემდეგ გაქრა შენი მეხსიერებიდან!..სიყვარულს და მზრუნველობას არ გაკლებდი, ჩემო იმედო, მაგრამ ტკივილი მოუშუშებელ იარად გაჰყვა შენს ყმაწვილკაცობას!..

რამდენიმე წლის წინ მამაც დაკარგე! მამის ადგილი გოჩა ბიძიამ დაიკავა, თქვენს შორის ასაკობრივი სხვაობა დიდი არ იყო, ამიტომაც უფროს ძმად მიიჩნევდი. გოჩას ავადმყოფობა ტრაგიკულად დამთავრდა: ერთგული ძმებივით ერთსა და იმავე დროს მიაბარეთ სული უფალს!..

შენი ცოლ-შვილის სიყვარული არ გამოგიცდია, სამაგიეროდ, უფლის განსაკუთრებითი სიყვარული შვილი ხარ!

მეგობარი იყავი, ამიტომაც გიერთგულა ყველამ, ერთი წუთითაც არ გტოვებდნენ შენი ბიჭები, ახლა ჩემზე ზრუნავენ, სიყვარულს და ყურადღებას არ მაკლებდნენ.

უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, ჩემო გაუსაძლისო ტკივილო, მე მუდამ ვილოცებ შენი სულისთვის და მოთმინებით დაველოდები ჩვენი შეხვედრის სიხარულს!

შენი ბებო

ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლის
1972 წლის კურსდამთავრებულები
იუწყებიან კლასის დამრიგებლის
ლუბა კილურაძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ
განსვენებულის ოჯახს

განცხადება
იყიდება
60 მმ-იანი რკინის
მილები (ფასი
შეთანხმებით)
დარეკეთ: 593 28 21 19

„კიდობანამ“ პირველი ტურისტული ჯგუფი მიიღო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტში მდებარე საოჯახო სასტუმრო „კიდობანამ“ პირველ ტურისტულ ჯგუფს უმასპინძლა

გარდა იმისა, რომ დამარწყულებელია, ბალნეოლოგიური თვისებებიც გააჩნია, გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, სახსრების სამკურნალოდ, ამავე დროს, დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე.

გუბაზეულის თვალწარმტაც ხეობაში სანისლიას აბანოებისკენ მიმავალი გზით, ყველაზე მეტად სარგებლობენ ტყის მრეწველები. ეს ადგილი როგორც ბალნეოლოგიური, ისე ტურისტული თვალსაზრისით იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანია, რომ არა მგონია, აქ მომუშავე ტყის მრეწველებმა გზის შედარებით კეთილმოწყობაზე არ იფიქრონ, რაც უდავოდ დიდი საქმე იქნება. რასაკვირველია, საჭიროა ამ აბანოების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

მეორე დღეს უფრო გრძელი და ცასთან მიახლოებული მარშრუტი გველოდა და სამზადისს დილის 6 საათიდან შევუდექით. კიდობანას მთისკენ მიმავალ გზას, მასპინძელთან ერთად, 7 საათისთვის შევუდექით. სანამ მისი აღმატებულება მზე კიდობანას მთას გვირგვინად დაადგებოდა, უკან მოვიტოვეთ თხელმნარი, შემდეგ სხვა ფოთლოვანი ტყის ზოლები, წიწვოვნებიც და როცა ალპურ ზოლს გავუსწორდით, ნამწვის მთაზე, რომლის მიდამოები წარმოადგენს ზოტელთა პირუტყვის საზაფხულო იალაღებს, ნისლმა თავისი თეთრი სამოსი გაგვიშალა ერთგვარ ფიანდაზად. ზოტელებმა კარვებში, რომლებიც ამავე დროს მათი საგარაკო საცხოვრისია, შეგვიპატიჟეს და გულღია, თბილი, მართლაც დაუვიწყარი მასპინძლობა გაგვიწიეს, აჭარული კერძები დაგვაგემოვნებინეს. რაც ყველაზე თვალშისაცემია, აქ ყველა ერთმანეთისაა და ყველა ერთმანეთისთვისაა. აქ ამ მთა-გრეხილების იმდენი საინტერესო სახელები ჩამოგვითვალეს, რომ ვფიქრობთ, აქაური ტოპონიმიკა უფრო ღრმად შესასწავლია, რაც, რა თქმა უნდა, ცალკე საკვლევი მნიშვნელოვანი თემაა.

ძლიერი ნისლის გამო ვერ შევძელით კიდობანასაკენ გზის გაგრძელება. მოიალაღეებმა გვირჩიეს, მათთან დავრჩენილიყავით და მეორე დღეს გვეცადა ბედი. სამწუხაროდ, საამისო დრო არ გვქონდა და ამ ეტაპზე დავკმაყოფილდით, კიდობანას მთის გარშემო თამაზ ჭელიძის ნაამბობით. პროფესიით ვეტერინარი ეს კაცი საოცრად ერუდირებული პიროვნებაა, რომელიც შესანიშნავად ერკვევა როგორც მისთვის ახალმინდობილ საქმიანობაში, ისე მითოლოგიასა და მედიცინაში.

მოკლედ, ახლო მომავლისთვის გადავდეთ კიდობანადან, სანისლიას, , **ტაური -ზემოსურები- შუაგორა- ჯაჯის ტბა ტურისტული მარშრუტის გახსნას გეგმავს.**

ტურისტების სასიხარულოდ, ადგილობრივი ძალებით შეკეთდება გზა ზემოსურები- შუაგორას მიმართულებით,რომლის დასრულების შემდეგ „შალომ კლუბის" ხელშეწყობით, დაიტესტება ტურისტული მარშრუტი ჩოხატაური - ზემოსურები შუაგორა - „ჯაჯის ტბა". მარშრუტი შუაგორამდე - 2-ხიდიანი მანქა-

შუაგორის მთის, მესხეთის ქედის კონტურების დანიველირება.

რაც შეეხება „სასტუმრო“ „კიდობანას“: საოჯახო სასტუმროებს რომ ვარსკვლავებს ანიჭებდნენ, „კიდობანას“ უყოყმანოდ ხუთ ვარსკვლავს დავახატავდით პერსონალისგან გამოჩენილი საოცარი სითბოსა და შესანიშნავი მომსახურებისთვის.

მადლობა „შალომ კლუბ გურიას“, რომელიც, სხვა მნიშვნელოვანი საქმეების კეთებასთან ერთად, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ სერიოზულ ნაბიჯებს დგამს გურიაში ტურიზმის განვითარებისთვის.

P. S. ამ დღეებში სოციალურ ქსელში გამოჩნდა „შალომ კლუბი გურიას“ კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია:

„შალომ კლუბი გურია" ჩოხა-ნით,შუაგორადან ჯაჯის ტბამდე - ცხენით ან ფეხით, იქეთ -აქეთ 30 კი-ლომეტრი.ღამისთევა - ზემოსურებში და შუაგორაში.ზემოსურებში რომან ჯულაყიძის საცხოვრებელ სახლში გაიხსნება საოჯახო სასტუმრო „ჯაჯის ტბა" და საინფორმაციო ცენტრი.ამჟამად მიმდინარეობს მარშრუტის დაგეგმვა და განფასება .ტურისტული მარშრუტის შემუშავების ინიციატორია „შალომ კლუბი გურია" და კლუბის წევრი რომან ჯულაყიძე. თუ ვინმეს შეგიძლიათ ამ მარშრუტზე დამატებითი ინფორმაცია მოგვაწოდოთ, სიამოვნებით გელით. საკონტაქტო ტელეფონები: 57762-4876 - რომან ჯულაყიძე. 5994-92626 - ზაურ ოსეფაიშვილი.

კოკა თელია



რესტორანი, სადაც სუფრას შემოქმედებითად უდგებიან!

— მოხდენილი ინტერიერი, 70-კაციანი კეთილმოწყობილი დარბაზი, ხალისიანი ეზო, ორი ფაცხა;

— ქართული სანელებლებით შეკმაზული ეროვნული წვნიანი და მშრალი კერძების ფართო ასორტიმენტი, სამეფო, იმერული, გურული და აჭარული ხაჭაპურები...

კი, სხვაგანაც გემრიელია, მაგრამ ცაცას ნახელავი მაინც სულ სხვაა!!!

— ნატურალური მატონიზებელი და ალკოჰოლიანი სასმელები, მუსიკა პირდაპირ ინტერნეტიდან.

და ეს ყველაფერი სად? — სოფელთა სოფელ შემოქმედის ცენტრში, რესტორან ჩაქუხაში“.

„ჩაქუხა“!!!

რესტორანი, სადაც სუფრას შემოქმედურად, ანუ შემოქმედებითად უდგებიან.!!!

მიიღება შეკვეთები.

ტელეფონი: 574 22 31 62

7 დღის ამინდის პროგნოზი

31 აგვისტო ორშაბათი	1 სექტემბერი სამშაბათი	2 სექტემბერი ოთხშაბათი	3 სექტემბერი ხუთშაბათი	4 სექტემბერი პარასკევი	5 სექტემბერი შაბათი	6 სექტემბერი კვირა
მზე, ღრუბელი +19+28	მზე, +21+30	მზე, +20+31	მზე, +21+31	მზე, ღრუბელი +20+31	მზე, +19+31	მზე, +19+28